ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 9-21

"23" სექტემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

„დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ქ. თბილისის საკრებულომ დაადგინა:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებაში (საქართველოს რესპუბლიკა, 25.06.2009, №127-128) და გადაწყვეტილებით დამტკიცებული დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკა, ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**

განმარტებითი ბარათი

„დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით

1. დადგენილების მიღების მიზეზია ის ფაქტი, რომ „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში – რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის ტექნიკური) ცვლილებების შეტანის საკითხი. ქვემოთჩამოთვლილი ფუნქციური ზონების ცვლილების საკითხები (1 წინადადება) განხილულია და რეკომენდირებულია "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა კომისიის" მიერ.

2. დადგენილების მიღების მიზანია დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში – რუკაში აღნიშნული ხარვეზების გამოსწორება და მისი შემდგომი სრულყოფა.

3. დადგენილების ძირითადი არსი მდგომარეობს შემდეგში:

წარმოდგენილი პროექტის მიღების შემთხვევაში მოხდება დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილზე – რუკაზე არსებული ფუნქციური ზონების ცვლილება 6 ერთეულ შემთხვევაში ქვემოთ ჩამოთვლილი ჯგუფების მიხედვით:

1. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთის გზატკეცილზე, ნაკვეთი 07/056 არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.06.007.067), საკადასტრო ერთეულის საზღვრებში, დაზუსტდეს კონტური ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონასა და საცხოვრებელ ზონა 6-ს შორის.

ლანდშაფტურ–სარეკრეაციო ზონა იცვლება საცხოვრებელი ზონა 6-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2014 წლის ოქმი №28), სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (07/7708-13).